გადაწყვეტილება

N გ-25-17/620
18/12/2025

620-გ-25-1-4-202512181054

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2025 წლის №56 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომუნიკაციების კომისია”) განიხილა კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის №56 სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის, ასევე კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის N12 ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. კომუნიკაციების კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის №56 სხდომის დღის წესრიგში დამატებით შეტანილ იქნეს 2 (ორი) საკითხი:
   ა) „საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 16 მაისის №345/22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (მომხს. მერაბ ბოჭოიძე - კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტი;
   ბ) შპს „ინფორმაციული ტექნოლოგიების კონსულტაცია და მომსახურებისთვის“ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ (მომხს. მაია ქადეიშვილი - იურიდიული დეპარტამენტი, ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფი);
2. კომუნიკაციების კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის N56 სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნას დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული მე-20 საკითხი - „ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 13 დეკემბრის N10 დადგენილებაში ცვლილებების შეტანისათვის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (მომხს. თინათინ ჭაჭუკაშვილი - მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტი);
3. დამტკიცდეს კომუნიკაციების კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის N56 სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის);
4. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
5. დაევალოს კომუნიკაციების კომისიის ადმინისტრაციას (ბ. გასვიანი) კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე.

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი